საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური

MINISTRY OF EDUCATION, SCIENCE, CULTURE AND SPORT OF GEORGIA
LEPL OFFICE OF RESOURCE OFFICERS OF EDUCATIONAL INSTITUTIONS

MES 3 20 0001174922

09/12/2020

სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის 2019 წლის 10 დეკემბრიდან 2020 წლის 10 დეკემბრის პერიოდის ანგარიშს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლების თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე.

სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურში სამსახურის უფროსის 2019 წლის 12 თებერვლის №13 ბრძანების შესაბამისად, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვრა სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ადმინისტრაციული სამმართველოს უფროსი სოფიო აბულაშვილი.

2019 წლის 10 დეკემბრიდან 2020 წლის 10 დეკემბრამდე პერიოდში, სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოვიდა 20 განცხადება. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ შემოსული განცხადებები, უმეტესწილად, შეიცავდა საჯარო ინფორმაციის ერთზე მეტ, ხშირ შემთხვევაში კი – მრავალ მოთხოვნას.

საჯარო ინფორმაციაში შესწორების თაობაზე სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურში მოთხოვნა არ შემოსულა.

საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე შემოსული 20 განცხადებიდან დაკმაყოფილდა 19 მოთხოვნა, ხოლო 1 განცხადებაზე მიმდინარეობს ინფორმაციის მოძიება/დამუშავება. მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება არ მიღებულა.

სამსახურის სტრუქტურული ერთეულები „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სამსახურის დებულებით დაკისრებული საჯარო უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებდნენ პერსონალური მონაცემების შეგროვებას, დამუშავებასა და შენახვას. სამსახურში დაცულია პერსონალური მონაცემები როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში (Eflow) ინახება ელექტრონული ფორმით არსებული პერსონალური მონაცემები, რომლებსაც

განმცხადებლები უთითებენ მათ მიერ წარმოდგენილ განცხადებებში. აღნიშნულ მონაცემებზე წვდომა აქვთ მხოლოდ იმ თანამშრომლებს, რომლებსაც, მათი სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე, მინიჭებული აქვთ ამგვარი მონაცემების დამუშავებისა და შეგროვების უფლებამოსილება. დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში არსებული პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფორმაციულ-ტექნოლოგიური საშუალებებით, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს არაუფლებამოსილი პირებისათვის პერსონალურ მონაცემებზე წვდომას. საანგარიშო პერიოდში სამსახურის სტრუქტურული ერთეულების მიერ პერსონალური მონაცემების გაცემა ხორციელდებოდა მხოლოდ „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“ და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ შემთხვევებში და კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით.

სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის თანამშრომლების მხრიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შემოსული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებთან დაკავშირებით არ გამოვლენილა „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-3 თავის მოთხოვნათა დარღვევისა და ამ საფუძვლით პასუხისმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელების დადების არც ერთი ფაქტი.

სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი არ უთქვამს, შესაბამისად დღის წესრიგში არ დამდგარა მოქმედი საკანონმდებლო აქტების გამოყენების საჭიროება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის „ზ“ პუნქტის მოთხოვნასთან დაკავშირებით სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა. მანდატურის სამსახურის მიერ ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება არ მიღებულა, აქედან გამომდინარე, მანდატურის სამსახურის გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა და არც გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები არ წარმოშობილა.

პატივისცემით,

სსიპ მანდატურის სამსახური
უფროსი
გელაძე გელა